ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **24-242328396**
თარიღი: **10/10/2023**

ადრესატი: ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზუგდიდდასუფთავების ცენტრი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდიდასუფთავების ცენტრის“

დირექტორს ბატონ ნუგზარ მალაშხიას

ბატონო ნუგზარ,

თქვენი, მიმდინარე წლის 05 სექტემბრის N10-2423248148 წერილის პასუხად (რომელშიც ეხება „ზუგდიდიდასუფთავების ცენტრის“ საკუთრებაში (ბალანსზე) არსებულ მოძრავ ქონების (მუყაოს ქაღალდის) ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის საკითხს) გეგზავნებათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 06 ოქტომბრის N123 განკარგულება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გეძლევათ თანხმობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში პრივატიზებისას იხელმძღვანელოთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N123 (06.10.2023წ) განკარგულებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელზე.

პატივისცემით,

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

6.10.2023 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №123

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდის) ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისათვის“ (ს/ნ 220415414) თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 35-ე მუხლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №94 დადგენილების მე-7 მუხლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის (№14, 12.09.2023 წ.) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 13 სექტემბრის №24-2423256160 წერილის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრს“, მის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდი) ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას ერთი კგ. მუყაოს ქაღალდის საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 0,17 ლარით.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე: **გიგა ფარულავა**